



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 121

ქალაქი ქუთაისი 31 ოქტომბერი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ანგარიში მის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით დამტკიცებული პროგრამების მიმდინარეობის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მ/წლის 31 ოქტომბერს, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №44 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ანგარიში მის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით დამტკიცებული პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვლობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ანგარიში მის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით დამტკიცებული პროგრამების მიმდინარეობის შესახებ დამაკმაყოფილებლად.

(ანგარიში წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის –
საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის სფეროს
მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით დამტკიცებული პროგრამების
მიმდინარეობის შესახებ

პროგრამებს, რომლებსაც ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური ახორციელებს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამები ჰქვია. სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხდა ამხანაგობების სათანადო განვითარება და ისინი მხოლოდ ამ პროგრამების მომხმარებლად რჩებიან. ხშირად ამ პრობლემების მიზეზებს რთულ ეკონომიკურ მდგომარეობასა თუ სოციალურ ფონში ვეძებთ, თუმცა, ძირითადი მაინც მენტალური პრობლემაა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ გამოვიდა იმ განცდიდან, რომ ის, რაც მათ პირად საკუთრებაში არსებულ ბინას არ ეკუთვნის და კორპუსის საერთო საკუთრებაა (მაგალითად, ლიფტი, სადარბაზო, სახურავი, სარდაფი, ეზო და ა.შ.) მისი მოვლა-პატრონობა თავიანთ მოვალეობას არ წარმოადგენს.

საბინაო სამსახურმა რამდენჯერმე წერილობით მიმართა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებს, მოქმედი პროგრამების საშუალებით, მათ კორპუსებში არსებული საფრთხის შემცველი გარემოებების მოწესრიგების შესახებ. სამწუხაროდ, აქტივობაც და მათგან ამხანაგობის სხვა წევრების ინფორმირებულობაც უკიდურესად დაბალია, გარდა იმ პროგრამებისა, რომელთა თანადაფინანსებაშიც მათი წილი ნულის ტოლია (სადარბაზოებისა და ეზოების კეთილმოწყობა). ამიტომ გადაწყდა აქტიური საინფორმაციო კამპანია წარმართულიყო ამ მიმართულებით, რადგან, ნებისმიერი პასიურობა, გულგრილობა და უპასუხისმგებლობა თითოეული თანამშრომლის ან თუნდაც მოქალაქის მხრიდან, შეიძლება სავალალო შედეგით დასრულდეს.

საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის შემადგენლობაში შედის 12 ადმინისტრაციული ერთეული, რომლებიც უშუალო კავშირში არიან მოსახლეობასთან და კონტაქტი ხორციელებს როგორც უშუალო ყოველდღიურ რეჟიმში, ასევე, სოციალური ქსელით (საბინაო სამსახურსა და ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს აქვს ფეისბუქგვერდი), ასევე, სპეციალური ელექტრონული ვებგვერდით, სადაც მოსახლეობას სახლიდან გაუსვლელად შეუძლია დააფიქსიროს რომელიმე პროგრამის განხორციელების აუცილებლობა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური, 2018 წელს, 6 ძირითადი პროგრამისა და 13 ქვეპროგრამის ფარგლებში ახორციელებს 3502317 ლარის (2232500 ლარი რ.გ.ფ.-ს თანხა) დაგეგმილი ღონისძიებების მიმდინარეობის მონიტორინგსა და ინსპექტირებას, მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოების პროექტებთან შესაბამისობის კუთხით. უზრუნველყოფს შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურებისათვის, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ ფარგლებში, აუცილებელი პროცედურების გატარებას.

ყველაზე მოცულობითი პროგრამაა „კორპუსი“, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 1 591 100 ლარს და თავის მხრივ, მოიცავს 8 ქვეპროგრამას.

პროგრამა „კორპუსის“ ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვას სამსახური აწარმოებდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამა „კორპუსის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის

წესისა და პროგრამა „კორპუსით“ განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის №41 დადგენილების შესაბამისად. აღნიშნული დადგენილება და სამსახურის მიერ განსახორციელებელი პროგრამების ჩამონათვალი წინასწარ დაურთავდა ყველა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეს მოსახლეობისათვის გასაცნობად. პროგრამების ბიუჯეტის გაანგარიშება განხორციელდა 2017 წლის ბოლოსა და 2018 წლის დასაწყისში ადმინისტრაციული ერთეულებიდან და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებიდან მიღებული განცხადებების შესაბამისად.

პროგრამა „კორპუსის“ 8 ქვეპროგრამიდან 3 პროგრამა: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის სხვადასხვა სახეობის გადასახური მასალის გადაცემა და საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შესასვლელი კარბების, ფანჯრების, რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და ამორტიზირებული ხის კიბეების კონსტრუქციის რეაბილიტაცია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში ბიუჯეტიდან ფინანსდება 100%-ით.

ასევე, 100%-ით ფინანსდება 5 საქალაქო პროგრამა. სხვა დანარჩენი პროგრამები ხორციელდება მერიისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წილობრივი დაფინანსებით 90/10-ზე, ან იშვიათად 80/20-ზე.

პროგრამა „კორპუსის“ ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. სხვადასხვა სახეობის გადასახური მასალის შექმნა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადასაცემად (დაფინანსება: 100% თვითმართველობა).

ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 185000 ლარს, აქედან, 15000 ლარი საბანკო გარანტიის მომსახურებაა.

ტენდერში გამარჯვებული კომპანია, შპს „ჯი-არ სის“ მიერ შესყიდულ იქნა 166554,17 ლარის 25000 მ² გადასახური მასალა, მათ შორის, ჰიდროსაიზოლაციო მასალა – 18000 მ²; გოფირებული თუნუქი 5000 მ²; ფურცლოვანი თუნუქი 2000 მ². გადასახური მასალის მისაღებად ამხანაგობებმა განცხადებებთან ერთად წარმოადგინეს ხარჯთაღრიცხვა და პროექტით განსაზღვრული მასალის ღირებულების 30 ან 50% თანხის საბანკო გარანტია, რომელიც ამხანაგობებს სრულად უბრუნდება გადახურვის სამუშაოების დასრულებიდან 7 სამუშაო დღეში. გადასახური მასალა გადაეცა 74 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას. ეკონომიამ ამ მიმართულებით შეადგინა 3445,83 ლარი.

2. ადგილობრივი თვითმართველობის ბალანსზე რიცხული შენობების სახურავების რეაბილიტაცია.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 15000 ლარს (დაფინანსება: 100%-ით თვითმართველობა).

3. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია (დაფინანსება: 100% თვითმართველობა).

ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 300000 ლარს.

სამუშაოები დაყოფილია 2 ეტაპად:

I ეტაპზე გამოცხადდა ტენდერი 299466 ლარზე, დასრულებულია 47 მრავალბინიანი სახლის 95 სადარბაზოს რეაბილიტაცია, ღირებულებით 239572,98 ლარი.

II ეტაპზე გამოცხადდა ტენდერი 60000 ლარზე, დაწყებულია 15 მრავალბინიანი სახლის 18 სადარბაზოს რეაბილიტაცია, ღირებულებით: 47495,00 ლარი.

პირველი ეტაპის ტენდერზე წარმოქმნილმა ეკონომიამ შეადგინა 59893,02 ლარი, რომელიც მიმართულ იქნა შემდგომ ეტაპზე, საბოლოოდ, ეკონომიამ შეადგინა 12932,02 ლარი.

4. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების პარაპეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია (დაფინანსება: 90% თვითმართველობა, 10% ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა).

ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 61100 ლარს.

სამუშაოების განხორციელების გაჭიანურება გამოიწვია ტენდერის ჩაშლამ, თუმცა ტენდერის განმეორებითი გამოცხადებისას გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია „თევიკა უნივერსალი“, რომელიც შეასრულებს 61000 ლარის ღირებულების სამუშაოებს 12 ობიექტზე.

5. ატრაქციონების, ძელსკამების, მცირე მოცულობის სანაგვე ურნების შექმნა-მონტაჟი, დასასვენებელი ფანჯატურის მოწყობა ძელსკამებითა და მაგიდით, მარტივი ტიპის სტაციონარული ტურნიკების შექმნა-მონტაჟი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის (დაფინანსება: 80% თვითმართველობა, 20% ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა).

ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 80 000 ლარს.

დასრულებულია 4 ფანჯატურის მოწყობა – ღირებულებით 17 490,17 ლარი.

ასევე, დასრულებულია 2 საბავშვო ატრაქციონის მოწყობა უშუალოდ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის მაისურადის ქუჩის №15-ში და ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევის №30-ში – ჯამური ღირებულებით: 11498,88 ლარი.

შპს „ჯიტი კაპიტალთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულ იქნა 293 ძელსკამი – ჯამური ღირებულებით 88784 ლარი, მათ შორის, განხორციელდა 80 ძელსკამის შექმნა-მონტაჟი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის თანადაფინანსებით 80/20-ზე, თანხით 24000 ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში ეკონომიამ შეადგინა 27010,95 ლარი.

6. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა (დაფინანსება 100% თვითმართველობა).

ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 830 000 ლარს.

სამუშაოები დაყოფილია 3 ეტაპად – ჯამური ღირებულება 827 799,12 ლარია.

I ეტაპზე გამოცხადდა ტენდერი 400 000 ლარზე, გამარჯვებული კომპანია შპს „გი-ან 2011“ ახორციელებს 347888 ლარის სამუშაოებს 27 ობიექტზე. დღეისათვის დასრულებულია 22 ობიექტი, სამუშაოები მიმდინარეობს 5 ობიექტზე, რომელთა დასრულება განსაზღვრულია ნოემბრის ბოლომდე.

II ეტაპზე გამოცხადდა ტენდერი 295 000 ლარზე, გამარჯვებული კომპანია შპს „მიმდემი“ ახორციელებს 294911,81 ლარის სამუშაოებს 15 ობიექტზე. დღეისათვის დასრულებულია 6 ობიექტი, სამუშაოები მიმდინარეობს 4 ობიექტზე და დასრულდება დეკემბრის თვის დასაწყისში.

III ეტაპზე გამოცხადდა ტენდერი 185 000 ლარზე, გამარჯვებული კომპანია შპს „მიმდემი“ ახორციელებს 184999,31 ლარის სამუშაოებს 15 ობიექტზე. დღეისათვის დასრულებულია 4 ობიექტი, სამუშაოები მიმდინარეობს 1 ობიექტზე და აქვს სამუშაოები დასრულდება დეკემბრის თვის დასაწყისში.

სულ 55 ეზოდან დასრულებულია 32 ეზოს კეთილმოწყობა, მიმდინარეობს სამუშაოები 10 ეზოზე.

პირველ ტენდერზე წარმოქმნილი ეკონომია 52 112,00 ლარი მიმართულ იქნა შემდგომ ეტაპებზე, საბოლოოდ ეკონომიამ შეადგინა 2 200,88 ლარი.

7. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია (დაფინანსება: 90% თვითმართველობა, 10% ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა).

ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 70 000 ლარს.

ქალაქის 306 მაღლივი კორპუსის 829 ლიფტიდან გამართულ, მუშა მდგომარეობაშია 642 ლიფტი, აღსადგენი ლიფტების რაოდენობა შეადგენს 187-ს.

დასრულებულია 59 919,95 ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოები 6 ლიფტზე: სულხან-საბას გამზირის №59-ში; ნიკეას ქუჩის №64-ში; ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევის №20-ში; ხარებავას ქუჩის №6-ში; ბალანჩივაძის ქუჩის მე-2 შესახვევის №2/2-სა და თაბუკაშვილის ქუჩის №205-ში. საბოლოოდ, ეკონომიამ შეადგინა 10 080,05 ლარი.

8. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შიდა საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია (დაფინანსება: 90% თვითმართველობა, 10% ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა).

ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 50 000 ლარს.

აღნიშნული სამუშაოების განხორციელების დაგვიანება გამოწვეულია ტენდერის ჩაშლით. განმეორებით გამოცხადდა ტენდერი 50 000 ლარის 17 ობიექტის რეაბილიტაციაზე. სამწუხაროდ, ტენდერი კვლავ ჩაიშალა.

პროგრამა „კორპუსის“ ფარგლებში ეკონომიამ შეადგინა 55 769,73 ლარი.

ცენტრალური გზებიდან საცხოვრებელი სახლების ეზოებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 250 000 ლარს (დაფინანსება 100% თვითმართველობა).

სამუშაოები დაყოფილია 2 ეტაპად:

I ეტაპის ფარგლებში გათვალისწინებულია 3 მისასვლელი გზის ა/ბეტონის საფარით რეაბილიტაცია, ღირებულებით: 41 511,56 ლარი. დასრულებულია 2 ობიექტი, სამუშაოები მიმდინარეობს 1 ობიექტზე. სრულად სამუშაოები დასრულდება ნოემბერში.

II ეტაპის ფარგლებში გათვალისწინებულია 15 მისასვლელი გზის ბეტონის საფარითა და დაწნეხილი ფილებით რეაბილიტაცია, ღირებულებით: 207 499,13 ლარი. დასრულებულია 1 ობიექტი, დღეისათვის სამუშაოები მიმდინარეობს 1 ობიექტზე. სრულად სამუშაოები დასრულდება წლის ბოლომდე.

პროგრამის ფარგლებში ეკონომიამ შეადგინა 989,31 ლარი.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ავარიული სახურავების გადახურვის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 280 000 ლარს (დაფინანსება 100% თვითმართველობა).

„სოციალურად დაუცველი ოჯახების“ სტატუსის მქონე ოჯახების (65 000 სარეიტინგო ქულის ქვემოთ) ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა 60-მა ოჯახმა 2018 წლის 30 იანვრისათვის დააკმაყოფილა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N41 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 იანვრის N91 ბრძანებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით, დამტკიცდა ნუსხა, რომლის შესაბამისად გამოცხადდა ტენდერი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაძენად. გამარჯვებულის გამოსავლენად საჭირო გახდა 4 ტენდერის ჩატარება, რომლის ღირებულებამ 9 000 ლარიდან აიწია 30 000 ლარამდე. საბოლოოდ, შპს „ნუევას“ გაუფორმდა ხელშეკრულება 29 340 ლარზე და შესყიდულ იქნა 60 მისამართზე გადახურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

2018 წლის ბიუჯეტის ფარგლებში „სოციალურად დაუცველი ოჯახების“ საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 280 000 ლარი წინასწარი გათვლებით აკმაყოფილებდა 60 ოჯახის მოთხოვნებს, თუმცა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში შეტანილ იქნა დამატებითი პუნქტები, რამაც გამოიწვია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მკვეთრად გაზრდა, ნაცვლად საშუალოდ განსაზღვრული 5,0 – 6,0 ათასი ლარისა, ღირებულებამ საშუალოდ შეადგინა 12,0 – 13,0 ათასი ლარი, რის გამოც, ნაცვლად 60 ობიექტისა, 2018 წელს შესაძლებელი გახდა მაქსიმუმ 26 ობიექტის დაფინანსება. ზემოხსენებულმა გარემოებამ გამოიწვია სამუშაოების დროში განხორციელების მნიშვნელოვნად გაჭიანურება.

გამოცხადებულია 3 ტენდერი. პროგრამის ფარგლებში ეკონომიამ შეადგინა 8 627 ლარი.

სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის (დაფინანსება 100% თვითმართველობა) პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 1 133 000 ლარს.

აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტიდან 250 000 ლარი განკუთვნილია სპორტული „ტრენაჟორების“ შექმნა-მონტაჟისათვის, თორმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში. უკვე დასრულდა 14 სპორტული „ტრენაჟორის“ მოწყობა: პირველი ტენდერის ფარგლებში შპს „ჯეო პარკმა“ განხორციელა 13 „ტრენაჟორის“ მოწყობა, ღირებულებით: 223 083,99 ლარი. მიღებული ეკონომიის ხარჯზე შესაძლებელი გახდა დამატებით 1 „ტრენაჟორის“ მოწყობა სულხან-საბას გამზირის №41-თან, თანხით: 18 568,58 ლარი. ამ მიმართულებით ეკონომიამ შეადგინა 8347,43 ლარი.

მოსახლეობისა და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების მოთხოვნების გათვალისწინებით, წინასწარ იქნა შერჩეული საჯარო სივრცეები საბავშვო ატრაქციონების გამართვისა და დასასვენებელი ძელსკამების განთავსებისათვის, განხორციელდა 58 669,76 ლარის ღირებულების 8 საბავშვო ატრაქციონის მოწყობა. ეკონომიამ შეადგინა 7 830,24 ლარი.

ასევე, განხორციელდა 213 ძელსკამის შექმნა-მონტაჟი საჯარო სივრცეებში, თანხით: 64780,00 ლარი. ეკონომიამ შეადგინა 4 441 ლარი.

მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება 10 მარტივი ტიპის სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით: 439 000 ლარი. დამატებით დაწყებულია 1 სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით: 45 000 ლარი.

პირველად საქართველოში, მოწყობა სპეციალიზირებული სკეიტ პარკი თაბუკაშვილის ქუჩა №2-ში – მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის ტერიტორიაზე, რომლის ღირებულებამ შეადგინა 193 336,62 ლარი. სპორტული მოედნების მოწყობის ეკონომია შეადგენს 17 663,49 ლარს.

30 000 ლარი განსაზღვრულია უკვე არსებული 46 სპორტული მოედნის და 3 „ტრენაჟორის“ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. გამოცხადდა ტენდერი 29 477 ლარზე. გამოვლენილია გამარჯვებული შპს „თეგიკა უნივერსალი“, თანხით: 29 477 ლარი, მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება.

ამ პროგრამის ფარგლებში ეკონომიამ შეადგინა 38 805,16 ლარი.

პროგრამა „თავისუფალი ინიციატივები ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით“.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 40000 ლარს (დაფინანსება 100% თვითმართველობა).

აღნიშნული პროგრამა ძირითადად ითვალისწინებს ადმინისტრაციული ერთეულებიდან წარმოდგენილი წინადადებების დაფინანსებას, რომელიც იმ უზნის მოსახლეობისათვის პრობლემურია და მისი გადაწყვეტა რომელიმე საქალაქო პროგრამით შეუძლებელია. მ/წელს აღნიშნული პროგრამით ფინანსდება 4 ინიციატივა: წერეთლისა და

დეპოს ქუჩების (ე.წ. „პლაშადვის“ დასახლება) დამაკავშირებელი საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია; ბალანჩივადისა და დეპოს ქუჩების კვეთაზე არსებული კიბის რეაბილიტაცია; გაპონოვის ქუჩის №55-თან არსებული კიბის რეაბილიტაცია და ჯავახიშვილის ქუჩის №10-თან არსებული კიბის რეაბილიტაცია.

აღნიშნული სამუშაოების განხორციელების დაგვიანება გამოწვეულია ტენდერის ჩაშლით. განმეორებით გამოცხადებულია 35 000 ლარის ღირებულების ტენდერი.

ამ პროგრამის ფარგლებში ეკონომიამ შეადგინა 5 000 ლარი.

საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 60 000 ლარს (დაფინანსება 100% თვითმართველობა).

აღნიშნული პროგრამით უზრუნველყოფილ იქნა მისასვლელი გზების 17 ლოკაციის პროექტირება 9572 ლარის ღირებულებით; 60 სოციალურად დაუცველი ოჯახის სახლის გადახურვის პროექტირება, ღირებულებით: 27873 ლარი; 55 სპორტული მოედნის, 3 „ტრენაჟორისა“ და საექსპლოატაციოდ საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა 3000 ლარის ღირებულებით; ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 5 ობიექტისათვის – 987,00 ლარი.

პროგრამის ფარგლებში ეკონომიამ შეადგინა 18 568,00 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბერის N2712 განკარგულებით სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად გამოიყო 60 000 ლარი. ტენდერში გამარჯვებულ კომპანია შპს „ჯი-არ-სის“ მიერ შესყიდულ იქნა 52693,61 ლარის გადასახური მასალა, მათ შორის, 9000 მ² ჰიდროსაიზოლაციო მასალა და 1000 მ² გოფირებული თუნუქი. აღნიშნული მასალა სრულად გაიცა 56 მისამართზე. ეკონომიამ ამ მიმართულებით შეადგინა 7 360,39 ლარი.

მიმდინარე წლის 14 ივნისს, ილია ჭავჭავაძის გამზირის N20-ში ძლიერი ხანძრის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციისათვის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს უსასყიდლოდ გადაეცა 17 724,34 ლარის გოფირებული და ფურცლოვანი თუნუქი, 13 077,04 ლარის ღირებულების ხის მასალა და 2792,30 ლარის ღირებულების სხვა მასალები და მოწყობილობები, ასევე მოეწყო 2000 ლარის ღირებულების სახურავის ბრეზენტით დროებითი გადახურვა. აღნიშნული სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 35 593,68 ლარი და დაფინანსდა მერის სარეზერვო ფონდიდან.

ხანძრის შედეგად დაზიანებული ნიკვას ქუჩის №1/6-ში, ასევე, ფარნავაზ მეფის ქუჩის მე-4 შესახვევის №24-სა და გვერდით მდებარე (თავისუფლების ქუჩის №27) სახლების სახურავის რეაბილიტაციისათვის ნიკვას ქუჩის №1/6-ის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს უსასყიდლოდ გადაეცა 29 667,35 ლარის ღირებულების გადასახური მასალა და მოწყობილობები. ფარნავაზ მეფის ქუჩის მე-4 შესახვევის №24-ის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს უსასყიდლოდ გადაეცა 3422,50 ლარის ღირებულების გოფირებული და ფურცლოვანი თუნუქი. აღნიშნული სამუშაოები ასევე, დაფინანსდა მერის სარეზერვო ფონდიდან.

ირ.აბაშიძის გამზირის №2 ბინის მე-4 სადარბაზოს სახურავს ჩაუტარდა აღდგენა-რეაბილიტაცია, რაზეც დაიხარჯა 17 670,83 ლარი (სატენდერო თანხა შეადგენდა 19534,38 ლარს). ეკონომიამ შეადგინა 1863,55 ლარი.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-13 სხდომაზე, 2018 წლის 31 ოქტომბერს, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა, ჯონი არაბიძემ.